

შპსი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ.
სახელმწიფო-გარედი ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა შპსი: პირველ გვერდზე პეტრის სტრიქონი 15 კ.
უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის ზედაპირი—20 კაპ. სამგლო-
ვიარო განცხადების ერთეულ ღირებულება—3 მან.

თბილისში
განაწილებულია

ხელ-მოწერადი წიგნები არ დაიბეჭდებიან.

დაწერილ წიგნებს და კორესპონდენტებს რედაქცია არ იწავის
რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4

ტელეფონი 6-60.

საქონლობითი და სალიტერატურო გაზეთი. გაზეთის ორშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა

1915 წლისათვის.

„თ ე მ ი“

მიიღება ხელის მოწერა

1915 წლისათვის.

სახალხო სახლი.

ოთხშაბათს, 7 იანვარს 1915 წ.

განცხადება ჯ. ჩაპაიშვილისა

თბილისის ქართულ. დრამატულ დასის ამჟამად გაზიარების მიერ
წარმოდგენილი იქნება:

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმ. და 6 სურათად, თარამ. აქვ. ცაგარლისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: 2 მ-დან 20 კ-მდე.

რეცისორი ა.წუწუნავა

სახალხო კლუბი

ოთხშაბათს 7 იანვარს

საოჯახო საღამო

აჩვენებენ სინემატოგრაფის საშუალებით სხვადასხვა სურათებს

პარასკევს 9 იანვ. სინემატოგრაფით აჩვენებენ სხვადასხვა სურათებს.

ქ. თბილისში გაიხსნა ქ. ბათუმის წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების
კონტორა „განთიადის“ განყოფილება, ცენტრალური კონტორა
პერიოდული გამოცემებისა

„განთიადის“

კონტორა „განთიადის“ (მთავარი პრ. № 18) იყიდა ადგილი
ლომობი ჟურნალ-გაზეთების და მიიღება ხელისმოწერა და განცხადებები
ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდად. კონტორა „განთიადის“-დან საკუთარ
აგენტებს კავკასიის დამა-ქალაქებში შეუძლიათ გამოიწერონ შემდეგი ად-
გილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „ახალი ზარი“, „კავკასიის სოფელი“,
„კავკასიის“, „თემი“, „მორიხონი“, „მშაქი“, „თეატრი და ცხოვრე-
ბა“, „ხათაბალი“, და იუბილისკი. აღმანახები. თბილისის ჟურნალ-გაზე-
თები აგენტებს ჩვეულებრივ ფასებში დაეთმობათ და იმავე ღირს ფასზე
ნებათ, უკან დაბრუნება დარჩენილი გაზეთების შეძლების თანახმად რე-
დაქციებთან შეთანხმებისა მხოლოდ 15%/. აგენტებმა ჟურნალ-გაზეთე-
ბის საფასვრი წინადაწინ იმდენი უნდა გამოაგზავნონ, რამდენსაც ერთი თვის
განმავლობაში გაიწერენ. ნისიად არავის გაგზავნება აგენტებმა, ვისაც
ჩვენებან სურთ ჟურნალ-გაზეთების მიღონ, დაუყონებლად უნდა გამოაგზავ-
ნონ ფული და დაბრუნება („ხაჯაზი“), რომ მათ თავის დროზე გაგზავ-
ნონ ჟურნალ-გაზეთები. ფული და ყოველივე ცნობა აუცილებლად გაგ-
გამოგზავნონ: Тифлиς, Михайловский проспект № 18. Контора
„Гантяди“ Георгию Максимовичу Махарадзе. აგენტებს, რომელნიც
ამ პირობებს არ შეასრულებენ, ჟურნალ-გაზეთების გზავნა მოესპობათ,
მათ ადგილზე კი ახალი აგენტი დაინიშნება.

„კონტორა განთიადისაგან.“

დაუყონებლივ საჭიროა აგენტები: საჩხერეში, შორაპანში, ბე-
ლაჯორში, ახალციხეში, ოზურგეთში, აბაშაში, ქველთში, მუხრანში, ნიგო-
ლოში, ჯუმათში, საჯავახოში, ნავაბარში, ქობულეთში, ჩაქვიში, მიხაილოვოში,
ბორჯომში, სურამში, ტბინაშვილში, დუშეთში, თიანეთში, მცხეთაში,
ევლახში, ალსტაფში, განჯაში, აჯიქაბულში, ბაღდადში, ბე-
ქოში, კავკაში, ყარსში, ოლქანდრეპოლში, ერევანში, სანაინში. პირობები
იხილეთ „განთიადის“ განცხადებაში. თბილისში სხვა და სხვა უბნებში სა-
ჭიროა დახელოვნებული გაზეთების გამყიდველები.

ამის შემდეგ გაზეთების მიღება თავის დროზე და დატარების საქმე ყო-
ველგან გაუმჯობესდება. ყოველგვარი გაუგებრობა, გაზეთების მიუღებლობა
და სხვა, დაუყონებლივ უნდა ეცნობოს კონტორა „განთიადის“, თბილისი,
მთილის პრესპექტი № 18.

სრულიად რუსეთის საეროობა გე-
პირის შემცდარი ნაბიჯი

როგორც ვიცით სრულიად რუსე-
თის საეროობა კავშირშია განხრა-
ბა ადგილობრივ კავკასიის ომის-
ასპარეზის საკითხებისათვის რამდენი-
მე საინტერესო რაზმის მოწყობა.
რადგან ჩვენში ერობა არ არის, ამი-
ტომ ამ საქმის მოთავეობა და ადგი-
ლობრივი მოწყობა კავშირშია მიანდო-
თბილისის გუბერნიის თავ. აზნაურო-
ბის წინამძღოლს და თბ. მზრის თავ.-
აზნაურობის წინამძღოლს თავ. მ. ა.
სუმბათაშვილს.

ყველას ეგონა და მოსალოდნელიც
იყო, რომ ამ ფრიად საჭირო და სიმ-
პატიურ საქმისათვის მოსამსახურეთა
კონტინგენტის შედგენა ადგილობრივ
ძალებისაგან მოხდებოდა მით უმეტეს,
რომ ჩვენ, ისედაც მოკლებული იმ
უპირატესობას, რომელიც რუსეთის
ცენტრალურ გუბერნიების მცხოვრებ-
ლებს ერობის ინსტიტუტის მოქმედე-
ბით ენიჭებათ, ადგილობრივ ინტელი-
გენტთა თავისუფალი ძალები საერთოდ
მოგვეპოვებოდა. სამწუხაროდ ეს ასე
არ მოხდა... იმთავითვე თავდაზნაუ-
რობის წინამძღოლთა უფლებმა ამ საქ-
მის მოწყობაში შევეცადი აღმოჩნდა.
კავშირში გვერდი აუტყია ადგილობ-
რივ ძალებს და კავკასიაში გამოისა-
ზაინდა ოთხას კაციანი რაზმი შეადგი-
ნა რუსეთში... ამავე დროს კი თბი-
ლისში განაგრძობდნენ რაზმში მუშა-
ობის მსურველთაგანი თხოვნების მი-
ღებას.

3 იანვარს გამოიკცა, რომ ოთხასი
კაციანად შედგარი რაზმი მოეღოს
ადგილობრივ ომის ასპარეზზე გასამ-
გზავრებად შესაფერ განკარგულებას.
მთხოვნელები სახტად დარჩნენ... მარ-
თლად სამწუხაროა და თან საავალალოა
ადგილობრივი ძალებისადმი სრულიად
რუსეთის საეროობა კავშირის-მიერ
ასეთი უნდობლობის გამოცხადება...
ჩვენ, კავკასიელი და კერძოდ კი
ქართველი, უფრო მეტს მოველოდით
რუსეთის გამოცდილ და მრავალფე-
რეან წარსულის მექონე საეროობა
მოღვაწეობას, რომელთაც არასოდეს
არ ეპატებებოდა ერთი ზოგის სრულიად
და უმადურობის შეტანა. ასეთი ქვე-
ვა სწორედ არ შეეფერება სრულიად
რუსეთის საეროობა მოღვაწეთა ტრ-
დიციებს. თუ ასე უნდობლობით მოგ-
ვეპყრობოდნენ რუსეთის საეროობა
მოღვაწეობა, მაშინ რაღა საჭირო იყო
ადგილობრივ თავდაზნაურობა წინამ-
ძღოლებისადმი მიმართვა. საქართველო
ბრძოლის ველზე ასიათასობით ჰაზარ-
დის თავის შეგონება, იქ სამხედრო
ცეცხლის წვიმის ქვეშ ისინი გვირუ-
ლად სდებენ თავს საერთაშორისო
ომის კოცონზე და იმავე დროს რუ-
სეთის მოწინავე ინტელიგენცია საე-
როობა მოღვაწეთა სხიბთ მოწყობის
დღესა და ძმებს—ადგილობრივ მცხოვ-
რებლებს—საინტერესო რაზმებიდან
ერთელებს—თითქმის დაპირად მძებრსა და
ჭრების მოვლა მათ სხვებზე უკეთ ვერ
შეძლებოდა!

ჩვენ წინადაც არ გვეჩეროდა სრული-
ად რუსეთის საეროობა კავშირის—მი-
ერ ასეთი უცნაური ნაბიჯის გადადგმა,
მაგრამ სინამდვილე „წმინდა სურვი-
ლებს“ ფრთები შეაფეცა და წინ წა-
მოიჭრა არა ერთხელ ნაგები უნდობ-
ლობა ადგილობრივ ძალებისადმი.

საჭიროა ადგილობრივმა პრესამ აღ-
ნიშნოს კავშირის აღნიშნული შემ-
ცდარი ნაბიჯი.

თავის მხრით თბ. თავდაზნაურო-
ბის წინამძღოლებიც ვალდებული არი-

ან შეეცადონ ამ საქმის სასურველად
მოგვარებას, თორემ ეს პირველი ნა-
ბიჯი საეროობა კავშირისა შედეგში
ერთგვარ სისტემის სახეს მიიღებს და,
როცა საქმე იქნება საერთო საინფე-
რიო სქემითა კავკასიაში მოწყობა და
გაძლიერება, ჩვენ კარგაზე მოგვითითებენ
ხოლომე სწორედ კარგი სახალწლო
საჩუქარი გვიძღვნა ჩვენ, კავკასიელებს,
საეროობა კავშირში. ნუ თუ, მართლაც,
საეროობა კავშირის მტკიცედ სწავს ად-
გილობრივი ძალების დაუხმარებლად
კავკასიის შესახებ საქმეების მართვა-
მოწყობის გზაზე? განა შესაძლებელია ად-
გილობრივი მდებარეობის, ენისა და
ზნე-ჩვეულების უცოდინარება შესა-
რულად წესიერად თავიანთი მოვლე-
ობა კავკასიის ომის ასპარეზზე დაუ-
რიოლ-დასახიზრებულთა შეკრების, მოგ-
ლისა და გადაყვან-გადაწყვეტის საქმის
მოწყობის დროს? ასე ექცევიან კავ-
კასიის რუსეთის საზოგადოებრივი ძა-
ლების წარმომადგენელი მაშინ, რო-
ცა კავკასია ერობის შემოღობის მო-
სამზადებელ ხანაში—იმყოფება...

მეთვალყურე.

სასაგმობი ქვევა.

ჩვენმა მეთვალყურემ იცოდა უკვე, თუ
რა პრისა არის ქართული პრესის ახლან-
დელ მომდევნო შესახებ საზოგადოებრივ
კერძოდ იმის შესახებ თუ როგორ უნდა
ეკრძალოს თავი ხალხს მაშინაც კი, როდ-
ესაც უცხო ჯარი უახლოვდება იმ მიწა-
წყალს, რომელზედაც ეს ხალხი მო-
სახლობს. სწორედ საზოგადოებ-
რივი აზრის საწინააღმდეგოდ მოქმე-
ულან ზოგიერთი ზემო-ქართლში.
თი რას ვეითხულობთ, „ახ. ქართლის“
სახალწლო ნომერში:

„ამ ბოლო დროს მომხდარმა ბრძო-
ლამ სარიყაშიზმთან და არტანუჯთან,
ტფილისსა და ქუთაისში გამოწვეული
შინაომი, ზემო-ქართლში ინტე-
ლიგენციასა და საზოგადოების, „მო-
წინავეებთან“ წოდებულთა დაუფრ-
თხო ძილი და აუშალა ძარღვები.
გაცივს თუ არა ტფილისიდან მცხოვ-
რებთა გახიზნვის ამბები, მოგვინე-
ნებათა ხალხს დაბეგსა თუ სოფლად,
და იწყეს ისეთი შიშის მომგვრელი
სიტუაცია და სასენსაციო ამბების გავ-
რცელება, რომ თავსავე დაეცემოდნენ
ხალხმა დღესაც არ იცის, სად ანუ
რად გაიქცეს, როგორ დააღწიოს თა-
ვი მტრის შემოსევის ჩვენს მშვენიერ
ქვეყანაში. ამით არ დამაყოფილდნენ
სხენებული ვაგბატონები და მათი
სულმოპოვებობა და მოუფერებლობა
უფრო ზოგის წავიდა: მიჰყიდ-მოჰყი-
დეს შინაური ავეჯი, გამოიტანეს კა-
სებიდან თუ სადღე რამ გააჩნდნენ და
კარგის ზღის საღებურში მიაშურეს—
„შორეულს რუსეთის გუბერნიებში
გასახიზნად. ამ საშუალებას მიმართეს
შეძლებულთა, ცნობილი საზოგადო-
მოღვაწეობა და მოინტელიგენტები პი-
რებმა, აგრამ თვით უნდა გადადგე-
ლობა და გადავლოთ მდებარე და უსა-
ხლო ხალხს, რომელიც ენა ჩავარ-
დნილი შესტყვის „უდროოდ“ დამ-
ფრთხალთა მიერ გამოწვეულის სურა-
თებს, სინამდვილე ვერ გაუგია და,
სასოწარკვეთილებში ჩავარდნილი,
უშეშოდ გამოიყურება.

„ჩვენს ყოველთვის აჩქარებული
ინტელიგენციის ამ მოუფერებლობა
მოქმედებამ ზემო-ქართლში მშვიდო-
ბიანი ცხოვრება შეარყია და ისე-
თი არა სასურველი მდგომარეობა
შექმნა სოფლად, რომ გვეგონე-

ბათ მართლა შემოჰმგვია გააფრთ-
ხული მტერი ქვეყანას და დღეს
თუ ხელს განადგურებდაც აუცილებე-
ლიაო. შეგნებულს ნაწილს ჩვენი სა-
ზოგადოებისა, თუმცა, არა სჯერა
ეს, მაგრამ მოგვხსენებთ ზოგიერთე-
ბის გამოუარველობა, რასაც ჩაძი-
ხებ და ვინც რას ეტყვის, ყველაფერი
სჯერათ; ეხლა, ამ ცხარე ისტორიულ
ხანაში, საჭიროა ერთი უბრალოთ მო-
კიროლი სენსაციური ამბავის თქმა,
რომ მათეს ქვეყანას მოედოს და ბე-
გრამაც დაიჯეროს. თი ასე მოიქცნენ
ჩვენი მშინაო მოწინავენი ზემო-ქარ-
თლში და იმის მაგიერ, რომ ხალხს
იმედი მისცნენ, მათ ამოუდგნენ გვერ-
დში და ქირსა თუ ლხინში განუყრე-
ლი მანია იყვნენ ისედაც გაძვალტა-
ვებულის და დაზიანებულის ხალხისა,
რომლის საუკეთესო შვილი და მარ-
ჩენალი ბრძოლის ველზედ ჰდგრიან
სისხლს და რომელსაც მანუგეშებდნენ
ესაქიროება, ამის მაგიერ, გამოამდგა-
რან და ხალხში შიშის აღმპყრელ ამ-
ბებს ავრცელებდნენ და თვითონ კიდევ
გასტყევედ ემზადებოდნენ. სოფელში
შესტყვიან ამ სურათს, თავს აქნენ
მწუხარებით და ხშირად მოჰკრავთ
ყურს ასეთს სამართლიან საყვედუ-
რებს: „არა, რა გარბიან ე ჩვენი ნა-
წილები, ჩვენ ვის ანაბრა გვეტყე-
ვენ აქა?“, და მართლაც, რომ გარ-
ბის, ანუ ემზადება გასატყევედ ჩვენი
მოწინავე საზოგადოება, სად გარბის
და ვის უტყევენ უიარაღო ხალხს?

ჩვენი ინტელიგენციის მიერ უდროოდ
გამოწვეული შიში უნდადგაო. მართ-
ლაც რომ გაწყრეს ღმერთი და ქვე-
ყანას მტერი შემოსიოს, განა ამი-
ტომ უნდა გავეცეთ ხალხს, გავეცეთ
და თავი დავაღწიოთ უსიამოვნობას
მარტო ჩვენ, უმწერო ხალხი კი უპატ-
როოდ მივატოვოთ? უბედურების
დროს, გავიყვანის აუცილებელს ვაგს,
ვეკრებოდნენ ჩვენ ქვეყანასა და ხალხს,
თორემ სიკეთის დროს ხომ ყველანი
კარგი მოქალაქენი ვართ.

„მამო ასე, ბატონებო!—დასძენს
წერილის ავტორი. ნიკო სიხარუ-
ლიძე—შიშინაობა და მეზობელთა
დაშინება უკუ ვაგდოთ, დაუბრუნდეთ
ჩვენს კერას, ჩვენს ხალხს და სადაც
ჩვენი მეზობლები, ჩვენც იქ. ნაადრე-
ვია შიში მტრის მოახლოვებისა და
სჯობა სიმშვიდე და სხვის იმედის
მიტება.“

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამ
სტრიქონებს. რომ გარბიან, ვის უტო-
ვებენ თავიანთ ქონებას, თავიანთ მი-
წაწყალს?... ან იქნება გულბრწყე-
ლოდ სწამთ, რომ ეამსა დაბრუნებ-
სას ისევ გახდებიან პატრონი ობ-
რად მსოფლიულ ისა?... სწორედ სა-
ჭიროა, რომ გამოცხადდეს იმ, მოწი-
ნავე“ პირების სახელი და გვარი,
რომელნიც სახეში ჰყავს წერილის ავ-
ტორის დროშა ვერ გამოიჩინ-
ეს მოქალაქობრივი სიმამაცე და სიმ-
შვიდე და სრულებით საბაზ-მიუტე-
ლად დაუფეთიანეს თავიანთი მომე
ხალხი...

სულიანობა სოფლად

ამ ეამად, როცა დიდი განსაცდელი
დაუდგა კაცობრიობას და ჩვენს პატა-
რა სამშობლოსაც მოხდა ომის წი-
პურტები, საჭიროა, რომ ყველა შეგ-
ნებული აღმაინი ხელს უწყობდეს
მშვიდობიანობის და წეს-რიგის განა-
მტკიცებას ჩვენში. ამას მოითხოვს
მოქალაქობრივი, მამულიშვილური ვა-
ლი.

საუბედუროდ ჩვენში ზოგიერთები

სხვა აზრისა ყოფილან და სცდილო-
ბენ ხელისშეწყენის მაგიერ ამტუტონ
ჩვენი ცხოვრება. „ახ. ქართლში“
ცნობილი კორესპონდენტი ბ. „ლე-
გატხი“ აი რა მწარე ამბებს მოგ-
ვითხრობს:

„ყველა მოიკცა ამ უმაგალითო
ომში, ერების განმათავისუფლებელი
ომია და ყველას ამ ომისკენ უჭირავს
თვალთ.“

„და, როდესაც ყველას ასე აინტე-
რესებს ეს ომი, როდესაც დიდი და
პატარა ომის ამბებითა გართული, რო-
დესაც მოხუცი ღვინავი თვის ნაქ-
სოვ წყვილ წინდას დაპირებისათვის
არ იშურებს, ჩვენი ზოგიერთი ვაგბა-
ტონები ამ დროს ანაბრა არ უწყე-
ვენ და ძველებურად „ვაგბატონებ“.

„არ იქნა და ვერ შეიგნეს, რომ
მათი ყოფა-ქცევა ყოველდ „შეუწყა-
რებელი“!

„არ იქნა და ვერ შეიგნეს, რომ
ასე ცხოვრება ალარ შეიძლება!
„ავტო ერთი ვაგბატონი, შეიარა-
ლებული თავით-ფეხებით მოხუცე
ერთ გლეხს, რომელსაც ნაყიდი ჰქო-
ნია ამ ვაგბატონის მამისაგან სახნავი
მიწა, ჩამოართვეს და სახნავად ალარ
შეუწყვეს.

„ავტო მეორეც! იარაღით ხელში
მოხუცეა სხვის მამულში გლეხს და
გამართება სროლა.

„თავიანთი თავი ომის ველზედ
ჰვინათ.

„საქონლის მოტაცება, დარბევა და
გამართება ხომ სწორი მართაა?

„ერთმა მეურმემ ძველ ნაგაზურზედ
ურემი გადაატარა. დახვდება ერთი
ვაგბატონთაგანი, ფაფხი გვერდზედ
მოქცეული აქვს და მთარახით შეუ-
ტეხს:

— როგორ ვაგდე, ჩემს მამულზედ
გავლოა?

— მამატი, ბატონო, ვაგბრევიდი,
არ ვიციდი, თუ ეს გზა შენს მამულ-
ზედ მიდის.

— აი, შე მ-ლო!—და მთარახს
თავ-პირში დაუშენს.

— ბატონო, ნუ მაკადრებ ამ დრო-
ულ კაცს, თავის დღეში არავის გა-
ულახივარ და ეს ერთი მამატიყო.

„მაგრამ სად არის პატრება! და ამ
დაბრახილზე გლეხმა ცრემლები ჩამო-
ყარა, იმატამ კი არა, რომ მას ეტყი-
ნა, არამედ გოლახეა ითაკილო. მისი
თავმოყვარება შეიღახა, იგი გაიღან-
ძა და შეიქნა დიდი შეწყუბუღელი.
„მოხდალდე გლეხს მეგობრემ მიჰ-
ყიდა მისივე ჩამონაჭერი ნაღვლ-გარედ
საფრანგ ადგილი, ვიღაც შეისყიდდა,
როგორც თავის საკუთრებას, ისე შეს-
ტყვიდა გლეხი ამ მოკალათებულს
ადგილს.

„ერთი ამ ვაგბატონთაგანი წაეღა-
ვება ამ საფრანგ ადგილს და ცდილობს
ხელში ჩაიგდოს.

„რასაკვირველია გლეხიც თავს გა-
მოიდებს, ჯერ მაგრად უდგია და, შემ-
დეგ რა იქნება, დრო გავჩვენებს.

„ავტო ვაგბატონი შეიარაღებული
თანამდებლობით მიეჭრება ზურნით
დადამებისას ამავე გლეხს კარგზედ.
იხიბოს გარედ გლეხს, მისი ცოლ-შვი-
ლი კარებს ნაქცეპს, გლეხს გარედ
არ გაუშვებს და პასუხს დუმილით
გასცემენ.

„ავტო ამისთანა მაგალითები და
უარესიც.

„საშუალო საუკუნის ამბები ხდება
ჩვენ დალოცულ მხარეს. დარბევა, გა-
მართება, დაჭრა ჩვეულებრივი ამბე-
ბია.

„აღმინსტრაცია და სასამართლო
ამ მოვლენას ყურადღებას აღარ აქ-
ცემენ, თითქმის კიდევ შეგვიფენ.

„ყველა ამას ბოლო არ უჩანს, შედეგები კი მოსდევს.“

„დარიგება-რჩევის ახლო არ იკარგებ, როგორც კედელი ცერკსა. ბევრი კი კისერს მოიტეხავს.“

„ბევრი მათგანი იცნობს თავის თავს ამ მაგალითებში.“

„ჩაიხედეთ თქვენს გულში, ჰკითხეთ თქვენს თავს, რომ ამ დროს არ შეეფერება მაგნიური ცხოვრება!“

სწორედ გასაკვირია, რომ არაფერს ასწავლის ხოლმე ცხოვრება ზოგიერთებს.

ნუ თუ აღწერილ მოქმედების ჩამდენთ არ ესმით, თუ რას სთქვამს ამ საშინელ დროს?

თუ ეს ახალგაზრდები არიან, საკიროა უფროსებმა ურიონ თავის შეკრება. თუ ჰასაჰში მოსულენი არიან, მაშინ კი რა მოგახსენოთ! ერთადერთი საშუალებაა გამოქვეყნდეს მათი სახელები, რომ თვით საზოგადოებამ შესაფერის დასდოს მათ უმსგავსო ქცევას...

ბედგრული ქაქუნა

ყოველად საინტერესო ამბები ხდება ამ ეპოქა აღმშენებელთა თავისდათავად ეს პატარა ქვეყანა არც ისე საყურადღებო იქნებოდა, რომ მასზე არ იყოს დამოკიდებული იტალია-რუმინიის ჩარევა დღევანდელ საერთაშორისო ომში. ჩვენს მკითხველებს მოგხსენება, რომ ჰრინკმა ვიღა დასტავა აღმშენებელი და რომ მის შემდეგ გაბეჭდვა მოიწადინა ესაღ-ფაშა, რომელიც სრული სიმპატიითა აღტურებული იტალიისადმი. იტალიას კი დიდ ინტერესი აქვს გამაგრდეს აღმშენებლის ნათესადგურ ვალონაში, რომ აღრიატიკის ზღვაში ხელის შეუშლელად ბატონობდეს.

ამას წინად აჯანყებული აღმშენებლები გარს შემოერტყნენ ქ. დურატ-კოს და მოითხოვეს გაცემა საფრანგეთის ელჩისა და სერბიის რწმუნებულისა. რადგანაც ეს არ აღსრულდეს, ამიტომ ისინი დაეცნ ქალაქს. იტალიელები, ფრანგები და სერბიელები, რომელნიც დურატკოში იმყოფებოდნენ, გაიქცნ და გადავიდნენ იტალიის გემებზე. მხოლოდ ავსტრიის რწმუნებულმა და ბულგარეთის კონსული დარჩნ თით ქალაქში. ეს უკანასკნელი კი ისე ახსენს, რომ მხოლოდ ეს აჯანყება აღმშენებლისა შედეგია ავსტრიის და ოსმალეთის ემისიონების ქადაგებისა. როგორც საზოგადოებრივად ჰეიქრობს „როსკი ვედ“-ის ცნობილი კორესპონდენტი ბ. ოსოტოვი, აღმშენებლის აჯანყების მიზეზები უფრო დიდაა. აღმშენებლის კარგა ხანია ენატრება თავისუფლება და თვითმართველობა, ევროპას კი თავის მხრით სურდა და სურს აქციოს აღმშენებელი ვასალურ ოლქად უცხო მთავრობით სათავეში. მართლაც, რას არ „ანტიკუბდნენ“ აღმშენებლის ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში. ხან დაუსვენს მძევდ გერმანელი პრინცი, ხან შეუდგინეს „დროებითი მთავრობა“, უცხო ელემენტებისაგან შემდგარი, ბოლოს კი გაუჩინეს მფარველობა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ერთმანეთს ებრძვიან გავლენის მოსაპოვებლად ამ ბედგრული ქვეყანაში.

აღმშენებლის ქაქუნა აღმშენებლის ქაქუნაა. ერთადერთი მათი სურვილია თავისუფლება შეიძინონ და თვითონ მმართველნი იქნან. მაგრამ საუბედუროდ, თვითაღმშენებლის ბრძოლა არის, რომ აქამდენ ვერ მოუხერხებიათ საქმის მოწესრიგება. აღმშენებლები წარმოადგენენ სხვა და სხვა ტომის ხალხს, როცა რაიმე საქმის გაკეთება სურთ, აღმშენებელი სახელმწიფოებს ისინი მიმართვენ ხოლმე ამ ტომთა ბელადებს, რომელთაც სხვა და სხვა რამეს პირიდან. ეს გარემოება იწვევს მუდმივ შუღლს და ქიშხს, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობენ ოსმალეთის და ავსტრიის ემისიონები. იტალიამ ვალონის დაქვეითი სახელი გაიფუქა აღმშენებელში, აგრეთვე ესაღ-ფაშამაც, რომელიც იტალიის მომხრეა. ავსტრია კი გამოიღოს როგორც მოსარჩელე აღმშენებლისა, რომელიც ცუდეს აღმშენებლის შავგორელებისაგან. ასე რომ იმავე კორესპონდენტის სიტყვით აღმშენებლის მიმართ ამ ეპოქა სამთა კავშირისკენაა, ე. ი. გვიმინისა, ავსტრიასა და ოსმალეთისაკენ.

იტალიის კურნალი-გზიერთობა ამ ამბებში ძალიან არის აღტურებული და ურჩევს თავის მთავრობას ნუ ერევი

აღმშენებლის საქმეებში. პრესის ერთი ნაწილი კი სთვლის იტალიის სასარგებლოდ კენჭულ სახენოს დაქვეითს ნათესადგურ ვალონის მაგიერ, რადგანაც, თუ ვალონას დაცემიან აღმშენებლები, მაშინ იტალია იძულებული იქნება შეასუსტოს თავის სამხედრო ძალა და გაგზავნოს აღმშენებელი თვალსაჩინო ნაწილი თავის არმიისა მაშინ, როდესაც არმიის შეიძლება ახლო მომავალში უფრო დიდი და წინაშეწელოვანი საქმე გაუჩნდეს.

ყველა ეს ამბები იმას მოასწავებენ, რომ შესაძლებელია ძალიან მალე გავრავდეს დღევანდელი საერთაშორისო ომის ასპარეზი.

d.

შობა

მისწვდა უღეთო ბრძოლა და შეზინდა კიდეც...

არე-მარე მიხვდა, რომ დახოცილთ გლოვა გქირებოდათ და გადისოთა თუ არა თაღი მანდილი, მიეცა უსიტყვო, ღრმა წუხილს...

სიმეფელ თან და თან ფრთები გაშალა...

მარსის ადგილი ეხლა სიჩუმის ღმერთმა დაიჭირა და, მიუხედავად იმისა, რომ დახოცილთათვის ჯერ არც ერთი სამარე არ გათხრილიყო, ისეთი სიჩუმე ჩამოაგდო, რომელიც გაბრუნებულ სასაფლაოზეც იშვიათია ხოლმე. სხეტაკი თოვლი კი, თითქმის ენანება გმირთა უბატრონოდ მიტოვებოდა, რაც შეგელო სქლად მხარდინდა და ყველას თანაბრად ახვევდა თავის გრილ მანტიას.

მხოლოდ სასიკვდილოდ დაჭრილთა დროგამოშვებითი კენესა არღვევდა საერთო მდუმარებას და ყრუ გამომავლივით იკარგებოდა ღამის იღუმალ სივრცეში.

თოვლა იკლო, შემდგომ მთლად გადიოდა და სუსხიანმა ყინვამ დაისადგურა...

ჰაერიც შეჩერდა, აღარ იძროდა ალაგზე, თითქმის ისიც გაიყინა... ცახედ ორიოდ მკრთალი ვარსკვლავი ციმციმებდა...

ბრძოლის ველზე, დაჭრილ-დახოცილთა შორის, ვინმე გამხმარი, შავად შეფუთვითი სახარელი არსება, ხელში ცილით, უმჯობეს მაშაგებდა და იქით მიეშურებოდა, სიადინაც დაჭრილის უქანსკნელი ამონაგვრის მოსმოდ ხოლმე.

ეს სიკვდილი იყო, რომელსაც ეხლა დასდგომდა ზეიმისა და ღმინის დრო... შავი სიკვდილი...

— ოჰ! სამშობლო... საყვარელი... ჩემო... გაისმა დაკვიდრის სუსტი ძახილი, მაგრამ ბუნების საიდუმლოებამ ეს ხმაი ჩაიკრა თვის უხვ გულში.

— აი კიდეც ახალი მსხვერპლი, ახალი კერძი... გაუბრწყინდა სახე სიკვდილს და მიამუშაო იქით, სიადინაც გულის სიღრმეში ამოაბნო ოხვრა მოიქცა.

— ჩემო ყველა... შენ... შენ... კიდეც ჰაერში იქნა გაბნეულ ნელი კენესა სულთმობრძავისა.

აჯილდა სიკვდილი მიუახლოვდა მომავლას.

დაკვიდრდა ოდნავ თვალი გაახილა და, მის დანახვისთანავე სასაოწარკვეთილმა, შეჰყვია:

— აჰა სიკვდილო, მეწვეი განა? მოდი, მოდი, მოდი, რაც აღრე ამო-მამრბო სულს, მით უკეთესი იქნება ჩემთვის...

და გმირს მწარე ღიმი გამოეხატა მისულებულ სახეზე...

— ოჰ, ქრისტე, ქრისტე! შენ მაღამ იბადები აქ, მე კი იქ... ვერ მოაწერა ამ სიტყვების დათავება, რომ მოსწვდა გატყვეილ ცას მკრთალი ვარსკვლავი და ელვის სისწრაფით დეშავს ძირს...

გათავდა გმირიც და მისი უქანსკნელი ამოსუნთქვა ჰაერმა იტაცა...

შუღამდე გადავიდა თუ არა დაჭრა სანატრელმა სათმა და იშვა ქრისტე მაცხოვარი.

ხალხმა იგრძნო დაზღუბა მხსნელისა და სიხარულით შეეგება.

ქრისტეს შობა გუგუნი მთელდა სოფელს...

*) ეს მოთხრობა უნდა მოთხრობულიყო საშობაო ნოქრში, მაგრამ ვერ მოესწრო, სამწუხარად.

რედ.

იქვე, სადაც ქართველმა გმირმა დალია სული, ტურფა ბანოვანი, მომავლადი მოწყალების და, ასული ჰაისტანისა, ამას-ლა მოსთქვამდა:

— ოჰ, ქრისტე, ქრისტე! აი გმირი, რომელმაც თავი დასდო ჩემ მრავალტანჯულ სამშობლოსთვის... დაიბადე შენ, მაცხოვარო, მოკვდა გმირი, ვცვდები მეც, მაგრამ ჩემს გულში იბადება შეგნება, რომ არსებობს კიდეც ერთი მხსნელი ჰაისტანისა... გვევდრები, უფალო, გვედრები, რომ ყოველმწვეთი მეომრის სისხლისა, შეწირული ამ წმინდა სამსხვერპლოზე, მიიღო ისე, როგორც მიიღე პირველი მსხვერპლი აბრაამისა...

...და ასულიც გათავდა.

ეს მოხდა იქ, სადაც ქედ-მალღო, გათეთრებული არარატი ამაღელვებელ მოპყურებს ძირს მოდღუნენ, უნულოში შემოკვილ არაქსა.

აჩილ მექანარეზელი.

„შრომის“ ეოგვდლიურ გამოცემის შესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქუთაისის საორმაზოთა გაზეთი „შრომა“ უნდა გადაეცემებოდა ყოველდღიურ გამოცემაში.

ეს თავის განზრახვა უკვე შესრულდა გაზეთის რედაქციაში. 1 იანვარს კიდეც გამოვიდა პირველი ნომერი განახლებული გამოცემისა.

მოწინავე წერილში აი რას ამბობს რედაქცია:

„ჩვენმა გაზეთმა მეორე წელში ფები გადავდა და დღეობა ყოველდღე გამოვა. ჩვეულებრივ პირობებში, მართალია, ერთი წელიწადი არაფერია, მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ რამდენად იყო ჩვეულებრივი წარსული წელი. საერთაშორისო ომის ქარცეცხლმა გააორკცა ისედაც მწარე „დამოუკიდებელ მხვებების“ სიმძიმე. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყუვეთ სტრიქონი შუა გველმბარაკა მიუხედავად ამისა, ჩვენ ვსწრდით იმას, რასაც ვფიქრობდით, ვფიქრობდით, აი ქი მშრომელ ხალხის უკეთეს მომსახურებაში.

და კეთილდღეობაზე... წლის მთავრობაში ცხოვრებაში მრავალი სი ახი წამოგვიყვანა. მათ შორის აღწერა სერიოზული იყო და არის საერთაშორისო ომი და მის-მიერ ღამო-წვეული მოწინავე ბარის კრიზისი. წერილშივე ჩვენს რომ გავსტუმროთ, თამაშად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საერთაშორისო ომმა მხოლოდ დადასტურა ჩვენი მომდევნების ზოგიერთი მხარეები, განსაკუთრებით კლასთა ბრძოლის თეორია. დღეს ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული და საერთაშორისო მომენტები ჩვენს ცხოვრებისა მთლიანად სრულდება, მწვადება. მათი სწრაფ აღწერა და მშრომელთა ინტერესების მიხედვით პასუხის გაცემა—აი ჩვენი ყოველდღიური გამოცემის უახლოესი მიზანი“.

ესება რა გაზეთი 1914 წლის ცხოვრებას, აღნიშნავს მის მთავარ მომენტებს, და ამბობს: „წარსულ წელში ჩვენს ცხოვრებას კვლავ დაეტყო გამოდგომება. დიდი ხნობით ვაჭრებში მრავალი წელი კვლავ ვაჭრე წამოვდა და აღაპარაკა შეურყეველი რწმენითა და ენერგიით საარაო სოლიდარობით მეშობა მოძრაობა კვლავ ყველას ყურადღებაში მიიპყრო. აღდა მშრომელი ხალხი თავისი ცოლშვილით და უკეთეს მომავლისათვის საბრძოლველად დაიწყო დარბევა. წინა რიგში იდგნ ბაქოსა, ბერტრუბრისა და სხვა ქალაქების რეზიზი... ამავე დროს ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური მესვერნი სისწრაფით უკან იხევედნ და „კონსტიტუციური ნაშთებს“ მედრად ებრძოდნ. საჩუროდ იქნა სისრულენი მოყვანილი სხვა და სხვა საფლავი და სამიწამდუმლობით კანონ-დადგენილებანი. ყოველ ცოცხალს, ფიზიკურს, და სულით ჯანსაღს წინ უნდოდა წასვლა, ცხოვრებაში კი თითქმის ყველაფერი უკან მიიღო! ეკონომიური და ეროვნული ცხოვრების უარესი გამწვავება და საზოგადოებრივ ძილების ძლიერი ღიფერენი—აი რა ახასიათებს ყველამ ჩვენს ცხოვრებას წარსულ წელში. მაგრამ საერთაშორისო ომმა ყველა ეს დარღვევა მიჩქარა... დღე, ახალმა წელმა მოგვიტანოს საზოგადო საქმისათვის მეტი ენერგია, მეტი სულიერი სიმეფიქრე!“

ჩვენ სიხარულით და თანაგრძნობით ვეგებებით ჩვენს ქუთაისელ თანამოქმედს. დარწმუნებული ვართ იგი არ აუხვევს ერთხელე არჩეულ გზას და როგორც სრულიად დამოუკიდებელი, პირუთენელი და თავისუფალი ორგანო მოუტანს ჩვენი ქვეყნის საქმეს თვალსაჩინო სარგებლობას...

სამკლოვიარო

ფურცელი.

† ნესტორ ბალანჩივაძე.

დ. ხონში გარდაიცვალა ნფ. ვექ. თანაშემწე ნესტორ იოსების ძე ბალანჩივაძე.

ამ ახალგაზრდას შესახებ აი რას ვითხულებთ „ახ. ზნეში“:

„ნესტორის ხანმოკლე სიცოცხლე მქიძროდ შევაპირებოდა ჩვენი ხალხის იმ ბრწყინვალე დღეებთან, როდესაც მშრომელი მასა ამოძრავდა თავისუფლების მოსაპოვებლად. განსვენებული დაიბადა დ. ხონში. მამა მისი იოსები ცნობილი ვაჭარი იყო. პირველად ნესტორი ხონის ორკლასიან საწავლებელში შეიყვანეს, მოაღო და აქედან კი გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მან ქუთაისი დამთავრა 1903 წელს.“

იმ ხანებში ჩვენში განმთავისთფლები მოძრაობა დღეობდა და მამამ, რომ შვილები სწავლაზე არ მოეცდინა, ნესტორი თავის ძმასთან ერთად საზღვარგარედ გაგზავნა. მაგრამ ნესტორს არ შეეძლო განსე მდგარიყო მამის, როდესაც მის სამშობლოში ხალხი ხმას იმდებდა და უკეთესი მომავლისთვის იბრძოდა, ამისთვისაც ის მალე დაბრუნდა შვეიცარიიდან და იმ საქმეში ჩაება, რომლითაც სიცოცხლე იმდის არ უღალატნია.

მოძრაობის განვლების შემდეგ ნესტორი მიეგზავნება მსოფლიოს უნივერსიტეტში. მაგრამ მას ქვეყნის აშკარა ნიშნები ახსდებოდა. ამის გამო ის რამდენჯერმე იძულებული შეიქნა მოსკოვიდან დაბრუნებულიყო და კურსი მხოლოდ 1912 წელს დაასრულა. ამავე წელში ნესტორი ქუთაისში ჩაუწერა ნფ. ვექ. თანაშემწე და თუცა ადრეამოუხდა ბელს უშლად, მაგრამ საზოგადო საქმეებს მაინც არ შორდებოდა. ქუთაისის დეპუტატობა მას კარგათ იცნობს, როგორც ერთ ნიჭიერ და მოხდენილ ლექტორს სახალხო უნივერსიტეტისა და ამავე დროს ერთადერთი მოსწავლე მისი ინტერესებისა. უკანასკნელი თითქმის მთელი წელიწადი ლეონში გაატარა. ამ რამდენიმე დღის წინ ის თბილისში ჰყავდათ ნათესავებს, იქნებ რაიმე ეშველოსო, მაგრამ, რაკი მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო, სულთ მომრძავე ისევ თავის სოფელს მიამუშა და 31 დეკემბერს სამუდამოდ გამოეცალა წუთი სოფელს...

† კალისტრო ხომერიკი.

23 დეკემბერს ქ. ბათუმში ანთები-საგან გარდაიცვალა კალისტრო ხომერიკი. როგორც გვაუწყებს „ახ. ზნე“, მისი დაკრგვით მშრომელ ხალხს კიდეც მოაკლდა ერთი პატრონისა და უნეგარო ამხანაგი. კალისტრო თუმცა უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ მისი შვენება და გამოცდილება ჰგავდა მის უსწავლლობას. ის ხელობით დურგალი იყო და სცოვრობდა ოზურგეთში. ომის გამოცხადების შემდეგ მან გადასწევითა სამუშაოდ ბათუმში წასვლა. მაგრამ აქ გაიცემა და რამდენიმე დღის შემდეგ მოეცა მისი შვენება და სამიწამდუმლობა.

მარტყოფის სახ. უნივერსიტეტის საზოგადოება.

წერაი ს. მარტყოფიდან (თბილისი მხარე).

ამ ბოლო დროს სოფ. მარტყოფს კულტურულად წინსვლა ეტყობა. აქ არსებობს სამინისტრო და სამრევლო სკოლები, სადაც დაახლოებით 200 ბავშვი სწავლობს. საკრედიტო ამხანაგობა, მომხმარებელთა საზოგადოება, სახალხო თეატრი და უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

27 დეკემბერს 1914 წ. შესდგა სამკითხველთა გაგებობის კრება. გამგეო

მის თავმჯდომარის წინადადებით კრებამ, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია შესახებ იმისა, რომ ს. მარტყოფში დაარსდეს რაიმე ოფიციალური კულტურული დაწესებულება, რომელიც მაშინდელ ქვეყნს დასახული ხელი შეუწყოს ს. მარტყოფის და მის ახლო მდებარე სოფელთა მცხოვრებლების ზნეობრივ-გონებრივ წინსვლას.

ხანგრძლივი რჩევა-მსჯელობის შემდეგ კრებამ გადასწევითა დაარსოს მარტყოფის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელსაც უფლება ექნება მართოს წარმოდგენები, მოაწყოს სახალხო კითხვები, კონცერტები, გახსნას საკვირაო სკოლა, კურსები მოზრდილთათვის და სხ.

კრებამ შეადგინა განზრახული საზოგადოების წესდება (წესდების შედგენის დროს ხელმძღვანელობდა ქრითურის სახალხო უნივერსიტ. საზოგადოების წესდებით) და მიანდო სამკითხველო გაგებობის თავმჯდომარეს ბნ. გ. კანდელაკს ამ წესდების მთავრობა შესწორება-შეღმამაზება და მათეობის წინაშე სათანადო შეამდგომლობის აღძერა.

დასასრულ კრებამ დაადგინა მომავალ 1915 წლისათვის ჯერ-ჯერობით გამოუწეროს მარტყოფის სამკითხველო შემდგვი პერიოდული გამოცემა:

„სახალხო ფურცელი“, „ახალი აზრი“, „თემი“, „ანაქადული“ და „ჯეჯილი“.

გიტო კიხელი.

—:—

ჩვენის მხრით უნდა შევაცუბინოთ მარტყოფელებს, რომ ბაქოში მყოფმა ნიკოლოზ ლეკიშვილმა გამოუწერა „თემი“ მარტყოფის სამკითხველოს. ამიტომ ვსთხოვ შევაცუბინოთ, თუ რომელი ადრესით სურთ მიიღონ ჩვენი გამოცემა.

რედ.

ომი და წვრილი კრედიტი.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით წვრილი კრედიტის მთავარმა სამმართველომ წინადადებით მიმართა სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს, მიაწოდონ მას ცნობები იმის შესახებ, თუ რა გულზე მოახდინა წვრილი კრედიტის საქმეთა მსვლელობაზე ომმა. მთავარი სამმართველო ძლიერ საუკიროდ სცნობს გამოკვეთულ იქნას: 1) თხოულობენ თუ არა უკან საკრედიტო დაწესებულებათაგან პატრონები თავიანთ ფულს, და თუ თხოულობა, დაწესებულებანი ხომ არ საუკიროებენ მთხოვნილთა დასაკმაყოფილებლად მიმართონ სათანადო თანხას დასაზღვევ კრედიტს? 2) შესანახად ფულის შემოტანა თუ მატულობს, ხომ არ აიხსნება ეს იმით, რომ სამხედრო საქმიონებისათვის წაყვანილ ცხენებში ხალხმა ფული აიღო, ანუ მაგარ სასმელების აკრძალვით? 3) არის თუ არა იმის ნიშნები, რომ წვრილი კრედიტის მოვალეებს ვალის გასტუმრება გაუძნელებათ? 4) საკრედიტო დაწესებულებებში საქმის წარმოება ხომ არ არის შეფერხებული მომილი-საბრის გამო და თუ შეფერხდა, როგორ მოათავდარიგეს საქმე კოპაგრატივებში? 5) მევალებები თხოულობენ თუ არა ვალის გასტუმრების ვალის გადაღების?

თიხილ. ქართულ ლაზარეთში.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბ-ო რედაქტორო! გულწრფელი გრძნობა უღრმესი მადლობისა მთადამი, ვინც ამ გაჭირვების ეპოქაში თანაგრძნობითა და სიყვარულით გვეპოობს, ვიღებულობ გზის ჩვენ თბილისის ქართულ ლაზარეთში მყოფ ქართველ პართელ ჯარის კაცებს გავზიაროთ ქართველ საზოგადოებას ის გრძნობები, რომელიც ადრია ჩვენში ამ ლაზარეთის ხელმძღვანელთა და მოსამხმარეთა ჩვენდამი განსაკუთრებული ყურადღება.

პირველად არ შეგვიძლია არ აღვინაშნოთ ამ ლაზარეთში მყოფ მოწყალეების დათა დედობრივი ზრუნვა, რომელსაც ისინი ჩვენ მიმართ იჩენენ შეუღარებელის სიმბნითა და საქმის წრფელი სიყვარულით ასრულებენ ისინი თავის მიმდე და კეთილს მოვალეობას; მათმა მადლიანმა მოვლამ

ბრძოლის ველზე მიღებულ წყლულობა სიმწვავე შეგვისმუშტავდა.

სხვა მხრივდაც მოპყრობა საშავალითა: საუკეთესო საქმელებს გვაწვდიან, მოგვცეს ყველა ქართული კურნალ-ვახუშტის და საერთოდ ლაზარეთის ხელმძღვანელები ჩვენდამი დიდ ყურადღებას იჩენენ. აგრედვე დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენგან ქართველ გიმნაზიის მოწაფენი, რომელნიც დიდნი თანაგრძნობით გვეპყრობიან და მასთან ენერგიულ დახმარებას უწყვენ ლაზარეთის მოსამსახურეთ.

განსაკუთრებით დიდ მადლობას უძღვნით ლაზარეთის ხელმძღვანელთა „შობის ხის“ გამართვისათვის. გარდა იმისა, რომ მრავალი საჩუკრები: თბილეთობა, თუთუნის და სხვა დაგვირჩიეს, რაკი ჩვენთვის ასეთი საკირო იყო, ჩვენ მეტად გავსაოფრებო საკონცერტო განყოფილებამ. ეს ლამე ჩვენი ხსოვიდან არასოდეს არ ამოიშლებს; კნ. მაქ. ამირეჯიბისამ გვაგრძნობინა ქართული ხმების თარზე დამღერებით სიტკბოება ჩვენი ეროვნული მუსიკისა და დროებითი მეგავიწველბა ბრძოლის ველზე განცილილი სიმწარე, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას უძღვნით.

პატივისცემით ამხანაგების მონღო-ბილიობით: იას. ქადიევილი და ალ. გადახაძაძე.

მკირფსი განძი.

ივ. ჟავახიშვილი. ქართულ კრის ისტორია. წიგნი II.

ახლად გამოსული წიგნი ჩვენი ცნობილის მეცნიერის ივ. ჟავახიშვილისა „ქუთაისის საქართველოს ისტორიის მე- VII საუკუნიდან დაწყებული მე- XIII საუკ. დასაწყისამდის. წიგნი სწორედ რომ ძვირფას განძს წარმოადგენს ისეთი დიდი ლიტერატურისათვის, როგორც არის ჩვენი მწერლობა. ივ. ჟავახიშვილი, რასაკვირებო, არ დაკმაყოფილებულა მარტო აქამდის ცნობილ ცნობებით და ისტორიულ ფაქტების გასარკვევად უხვად უსარგებლობა უცხო მეცნიერთა შრომებით. ამით აიხსნება, რომ ფაქტები დიდის სიმრევითი და აქედანაც ბევრი ისეთი ცნობები შეუტრეხია, რომელიც საზოგადოებას გვაძლევს ამა თუ იმ საკითხის შესახებ მთლიანი წარმოდგენა იქნეს შედგენილი. საინტერესოა შეკრებილ ცნობების მიხედვით საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII—

ეკერობის ომი

კავკასიის არმიის შტაბისაგან.

ყარაუზგანის რაიონში ჩვენი ჯარების წინსვლა გრძელდება ჩვენს სასარგებლოდ. 2 იანვარს მთელი დღის განმავლობაში ჩვენ ავიყვანეთ ათასზე მეტი ტყვე და წავართეთ მრავალი იარაღი. დანარჩენ ფრონტებზე მცირე შეტაკებები ხდებოდა.

დ ე პ ე შ ე ბ ი

პეტროგრადის სააგენტოსაგან
4 იანვარს დილით მიღებული.
პეტროგრადი. 3 იანვ. ოფიციალურად. უმაღლესი სარდლის შტაბისაგან. ჩვენი დაპანაკების ყველა ფრონტზე 2 იანვარს ღამე და დღე შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ ვისლას მარცხენა ნაპირზე, განსაკუთრებით სოხაჩევ-ბოლიმოვის ფრონტზე იყო საარტილერიო და სათოფო სროლა; გერმანელები განაგრძობდნენ ამაოცდას შემოტევას გადავსლისას. შენიშნულია, რომ გერმანელები სარგებლობენ თეთრი დროებით ჩვენს პოზიციებთან მოსახლოვებულად. რაიგდან ჩრდილოეთით მთელ რაიონს ესროდა ყუმბარებს მძიმე არტილერია. აგრეთვე ავსტრიელები მძიმე არტილერიით ესროდნენ ჩვენს ჯარს მდ. დუნაიდან: დიდი ზომის ზარბაზნებით ესროდნენ ისინი ყუმბარებს 1 იანვარს ტარნოვის სადგურსა და ქალაქს. ამ სროლის მათთვის სარგებლობა არ მოუტანია.

ბუქარეშტი, 2 იანვ. სტამბოლიდან გავუწყებენ: ოსმალეთის სამხედრო გემებისა და ტრანსპორტებზე რუსეთის ფლოტის-მცირე იერიშის მიტანის დღეს ხალხმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადა, რეთიანობის და პროგრესის კომიტეტის წინააღმდეგ. მთავრობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები. საჯარო ადგილები დაქუცეს სალამოს 7 საათზე; ქუჩებში ღამით მოსკეს მოძრაობა. ძლიერი პატრულები ორი დღის განმავლობაში დაილოდნენ ქალაქში.

ვაშინგტონი, 3 იანვ. სენატორმა ლოჯმა წარმოადგინა წინადადება კონსტიტუციის დანაშაულის შესახებ, რომელშიც უნდა განიხილოს საკითხი, საჭიროადა არის თუ არა მომზადებული სამხედრო საქმის მხრით შეერთებული შტატები. სენატორი უარყოფდა იმ აზრს, ვითომც სამხედრო მხარეებს შეუძლია მიიყვანოს შტატები ომამდის.

ბუქარეშტი, 2 იანვ. მაღლა საფეხურზე მდგარი პირი, ვინაიდან მოსული, გვიამბობს, რომ მან მოსწიწრა წამოსვლა უკანასკნელი სამხედრო მატარებელით. თანახმად ავსტრიის მთავრობის განკარგულებისა ამ მოკლე ხანში მატარებლები დიფუკენ სერბების საზღვრებისაკენ ჯარების გადაყვანას, მათ შორის ბავარიელ არმიის ერთ კორპუსისას.

გზ. „დემონიაც“ პეკლავს განცხადებს, რომელიც გამოაქვეყნა ბუქარეს შიესულ-ისლამში მაღლა მუჰამედმა განცხადება, რომ არა სწამს საღვთო ომი, რადგანაც უმთავრესი პირობები ამგვარ ომისა ამ ეპოქაზე არ არსებობენ. რუსეთის მამამდიანობას არა აქვს მიზეზი უკმაყოფილო იყოს და ამიტომ იგი ერთგულია რუსეთისა. შეიხის ერთადერთი მიზანი იყო მექა მოეწვლა. შეიხი და მისი მხლებლები წინააღმდეგობას საფლავის წინ ლოცულობდნენ, რათა მიჰყვებოდა მათ საშუალება ისლამის აღმსარებელთათვის ქეშარიტ გზით ხელმძღვანელობა გაეწიათ და აგრეთვე კეთილდღეობა რგებოდა რუსეთს.

კიშინიოვსკი, 3 იანვ. ზერლინიდან გავუწყებენ, რომ ერბოს ნაკლებობის გამო მალე შემოიღებენ ზომებს, რომ შეამცირონ ნაღების ხმარება და გაყიდვა.

მტკოვრებლებს სთხოვენ მიაწოდონ სამხედრო სამინისტროს პატრონები და სამხედრო მასალა. ამჟამად ძველი სატელეფონო მავთული ითვლება ძვირფას ნივთად, რადგანაც სამხედრო უწყება მას იყენებს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გერონა. 3 იანვ. გავუწყებენ, რომ ავსტრიაში ცენზურამ აღკვეთა პრესაში აღნიშვნა გარეშე საქმიანობის ტრის ბერკეტობის სასახლიდან გასვლის ნამდვილ მიზეზებისა. ის გაზეთები, რომელნიც ცდილობდნენ ბერტჰოლდის სამსახურთან გასვლა და იტალია-რუმინიდან მოქმედების მომზადებისათვის დაეკავშირებინათ, მათვე

რობამ აღკვეთა. იტალიის გაზეთები ჰეტირობენ, რომ ახალი მინისტრის ბურჩიანის პოლიტიკა აგრესიული იქნება იტალიის მიმართ.

თეირანი, 3 იანვ. სპარსეთის მთავრობა შაჰის მეგვიდრესთან ერთად ჰეზანის თავროში 250 ტანდარმს შედგულ ოფიცრების უფროსობით. აქაური საზოგადოება თან და თან ხვდება, რომ აღდგომიდან ოსმალეთში ვერ არიან გამაგრებულნი და რომ ოსმალეთის დაბრება მეგვიდრის მოსვლის შემდეგ თავიანთს გაუნთავისუფლებთ შედეგი არის იმის, რომ ოსმალეთმა კარგად იცის, რომ არ შეუძლია თავიანთის დაქვეა მცირე რაზმის საშუალებით, რომელიც ამასთანავე შესდგება ქურთების უხეირო ფლუმენტებისაგან.

სტოკჰოლმი, 3 იანვ. მეფე გუსტავმა გახსნა რიკსდაგი სეფესიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ ნეიტრალიტეტის დაცვა და შვეიცარიის უფლებები თავის ბედი განაგოს, მოითხოვს სამხედრო ძალა მუდამ საომრად იყოს მზად. თუმცა შვეიცარია მშვიდობიანობა არ დარღვეულა, მტკოვრებლები მაინც ძალიან დაზარალებდნენ ეკონომიურად. ეს იმის შედეგია, რომ რომ მეომარი სახელმწიფოები არღვევენ საერთაშორისო უფლებების პრინციპებს. მეფე შეეხა ნორვეგიასთან დადებულ კონვენციას და სამ სკანდინავიელ მეფის თათბირს მაღმეში, რომელსაც მიზნად ჰქონდა შვეიცარიის დანაშაულობის განმარტება. მეფემ ისურვა, რომ სკანდინავიის სამ ქვეყანას შუა კარგი განწყობილება უფრო გამტკიცებულყოფს. „მიუხედავად იმისა, — სიტყვა მეფის, — რომ ჩვენი ნეიტრალიტეტი, როგორც მხურავლედ მყავს, შეიძლება იქნეს უზენებელი, მაინც დიდი ცდაა საჭირო სახელმწიფოს დასაცავად და ომის ბევრგულ ეკონომიურ შედეგების შესამსუბუქებლად ხალხის ღირის კლასებისათვის. ხალხს, რომელიც მზად არის თავის სამშობლოს სასარგებლოდ მსხვერპლი გაიღოს, შეუძლია აიტანოს მძიმე წუთები“. ბოლოს მეფემ მადლობით მოიხსენია უკანასკნელი რიკსდაგის გარდაწყვეტილება ნაციონალურ დაცვის გაძლიერების შესახებ და აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ უკანასკნელი მიზნით რიკსდაგს მოეთხოვება კიდევ საჭირო კრედიტის გახსნა.

ოსმალეთის ფრონტი.

გუშინ სააგენტო დეპეშების მოხვლის შემდეგ მოვიდა ცნობა, რომ ოსმალეთის მეფეთრემეტე კორპუსის საშინლად დამარცხდა ყარაუზგანთან.

აგაკის აგადმეოფობა.

როგორც გვატყობინებენ დ. სახე-რედან ჩვენი ძირფასი მგოსანი მთელი ერთი კვირის განმავლობაში სწერდა ახალ პოემას ომისა და ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. მეტრის სურვილით იყო აღტყვეობა, რომ მალე დაემთავრებინა, 24 დეკემბრს ბ. აკაკიმ დაამთავრა თავის პოემა. 25-ს შობა დღეს დილით შესულა მასთან ერთი მახლობელთაგანი, რომლისთვისაც უთქვამს ენის-მოკიდებით: „სულდადა ვარ... ველარ ვდგებიო...“ მაშინვე განკარგულა მოუხდენით და ექიმი დაუბარებიათ. მხოლოდ ერთს დღეს ეტყობოდა უკეთობა. მგოსანს სწამლობენ ექიმები სივონ ჯაფარიძე და სევერიან ქოლოშვილი. საყვარელი მგოსნის ასეთმა მდგომარეობამ ჩვენს საზოგადოებაში დიდი მწუხარება გამოიწვია. სასურველია ექიმებმა პრესას მოაწოდონ ბიულეტენები.

ახალი ამბები

სასამხატურო საქმეებისა გამო ქუთაისში სტუმრად ჩასულის ტვილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თავ. კ. ნ. აბხაზის პატივსაცემოდ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობა თავ. დ. ო. ნიკოიძემ 1 იანვარს ნაღიმი გამართა. ნაღიმის შემდეგ თავ. აბხაზი სასტუმრო „ფრანკიაში“ წავიდა და იქიდან თავად ნიკოაშესთან ერთად რკინის გზის სადგურზე. იმათ ეახლათ ემკარტულ ქართველ ცხენოსანთა რაზმი, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა მარ-

შლის თავ. კ. დ. ერისთავის უფროსობით. ვოგაზალში თავ. აბხაზს მიეგებნენ ქუთაისის გუბერნიის მარშლის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და ქართველ რაზმის ოფიცრები ამავე რაზმის შემუსკეთა გუნდით. მატარებელი დაიძრა სადგურიდან თუ არა, გუნდმა დაუკრა ქართული მარში, რომელსაც მოჰყვა „ვაშას“ ძახილი თავ. აბხაზის მიმართ.

გამოვიდა და მკითხველებს დაურჩიდა ქართული სამეფურეო ჟურნალის „მოსავლის“ მეცამეტე ნომერი. შინაარსი ჟურნალისა: „ხეხილის ბაღის გაშენება“ დ. გორთამაშვილისა, „ქართლის აგრონომიის მოქმედება 1913-14 წ.წ. განმავლობაში“ ე. კარბელაშვილისა, „კოპერატელების ცხოვრებიდან“ გ. შვილისა, „საერო-ბო ხარჯთაღრიცხვა“ „მევენახეთა საყურადღებოდ“ და სხ. ეს წერილები მეტრე-მკითხველთათვის მრავალ მხრივ საინტერესოა არიან.

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი გამოცემის ნ. კაკაბაძის: ისტორიული საბუთები, წიგნი მეხუთე, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, ვახტანგ ორბელიანისაგან ერეკლე მეფის ღალატი (წერილი ალ. ორბელიანისა) და წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ.

პირველი წიგნი წარმოადგენს გავრცელებას იმავ სახელობის წინა წიგნებისა. იქ მოთავსებულია მეოთხე-მეტე საუკუნის საეკლესიო საბუთები, უმთავრესად ნინოწმინდის ნათლისმცემლის მონასტრისა, რომელიც დაცულია თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედების არქივში.

მეორე წიგნი გარკვეულია შეძლებისა და გვიარდ პიროვნება აქამდის ისტორიაში უცნობ იმერეთის მეფის თამარ II-სა, რომელიც ს. კაკაბაძის აზრით გაიფუდა 1402 წელს და ცოცხალი იყო 1433 წ. ბროშურას დართული აქვს ამ თამარ მეფის სიგელის ფაქსიმილე.

მესამე წიგნი, ახლა ცალკე წიგნად გამოსული, დამუშავებული იყო „თემში“ ზაფხულს.

„წერილი შტუდიები“ შეიცავს ოთხს პატარა წერილს. ერთი შეეხება აქამდის უცნობ აფხაზეთის კათალიკოსის დანიელის ვინაობას (მე-XIV საუკუნე). მეორე არკვევს აფხაზ-იმერეთის სამეფოს მანდატურა-უზუტესთან სის მე-XIV საუკუნე. მესამე წიგნი — მეფე გიორგი ანდრონიკაშვილი ალბანელი მეფეებმა აქამდის უცნობ მეფის პიროვნებას, რომელიც ჯავახეთს განაგებდა მე-XIV საუკუნეში და მოკლულ იქნა თურქებთან ბრძოლაში 1373 წ. მეოთხე წიგნი საბუთების მიხედვით ნაწევრება სია აფხაზ-იმერეთის კათალიკოსებისა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დროს.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა რეკლამა პირველი ნომერი, სიბირსკი ჟურნალისა. „ჟურნალი სიმპარიტ დემოკრატიულ ორგანიზატი რიკსებს ეკუთვნის. მასში დამუშავებულია, სხვათა შორის სასურადებლა წერილი „ომი და ინტერნაციონალი“ ბ. კვირილსკისა (ყვირილელისა).

ქაჩადობა სოფლად

(წგაილი ლეჩხუმიდან)

არ იქნა და არ მოელო ბოლო ზოგიერთი ნაძირალების პირობა თარგმს სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხს ისედაც მრავალგვარი უბედურება თავს დასტყობია, აქედან გამომდინარე თავისუფლად ხალხის წუბრებლები, და ურცხვად განაგებენ თავიანთ სახელოვან საქმეს. ისე კვირა არ გაივლის, რომ ვისმე ცხენი ანუ ხარი და სხვა რამ ცოცხალი არ მოჰპარონ. აგრეთვე ხშირია თავგადაცემა, კაცის გაძარცვა, გავლენა და სხვ. აი რა გულშემაზრავი ამბავი მოხდა ამას წინაღ. შობის წინა დღეს, 24 დეკემბრის, ქუთაისიდან მომავალს მეტონიძეს რაჭის სოფ. ხვანჭარაში მტკოვრებს დაუხვდა სამი თოვარეველი მეთარებელი კაცი სოფ. მექვენას ახლოს. ბოროტ-განზრახვლებს მეტონიძისთვის მოუთხოვიათ ფული. მას ამოუღია და მიუცია, მხოლოდ ერთი თუმანის გარდა, რომელიც უთხოვნი თავადმცემლებისთვის სახარჯოდ დამჭირდება და დამირგებიათ. ეს მისი თხოვნა არ აუსრულებიათ, კიდევ სხვა ფულის თხოვნა დაუწყვიტა, ხოლო როდესაც მე-

და კვლავ მოვედი, კვლავ ვინახულე ესე ადგილი... ესე ადგილი, ტბილ-სახსოვარი, ტირიფთა ჩრდილი...

სად ჩემს უღარდელ სიყაწილისა განველე მე დღენი, სად არ ვიცოდი ცხარე ცრემლით თოვა, სველისა მფენი, სად არ მიგრძენია სულისა თრთოლვა, თრთოლვა მე მწარე, სად არ მწვევია შავ ფიქრთა გროვა, შავად ეღვარე, სად არ მიგრძენია მწარე ცხოვრებისა გესლი, ნაღველი, სად არ მსმენია კაცთ ბოროტი ხმა, გულისა მკვლელი, სად ლაღად ვრბოდი ახალგაზრდობის ენებით მღელვარე, სად გული ჰქუბდა, ღელავი ზღვისა ტალღა მგზნებარე, სად გრძნობით მსცქერდნენ მოცალენი მნათობნი ცისა, სად ენებით სავსე ცეცხლად ავანთე მღოში ცეცხლისა.

და კვლავ მოვედი, კვლავ ვინახულე ესე ადგილი... ესე ადგილი, ტბილ-სახსოვარი, ტირიფთა ჩრდილი...

ოჰ! სად ხარ, სადა, ნეტარო დრო სიყმაწვილისა? მე შენ გეძებ, ნუ თუ არ გეპნის ხმა ძახილისა? ბუნების ლალ შენს რად განმეოდ, მომიკალ გული, მარჯე, აწ გულსა ვერ შთამედგება კვლავ სიხარული? რაც შევაცურე ცხოვრების ზღვაზე მე ჩემი ნავი, მას აქედ თანა მღვს განუწყრელად ფიქრთა გროვა შავი; და ვერ გაუძელ გე ტალღებისა ცემას, ღრიალსა, ბოლო არ უჩანს მყერდით მონახეთქს სისხლის თქრიალსა. ოჰ! გვედრები, კვლავ მეწვიე შენის ძალითა და ამინთვე გული მოკლული ცეცხლის ალითა: რომ მედგრად შეგვხვდ უღმო ცხოვრების ტალღათ ღენასა, შევაკრა ფრთები ბოროტთა წაღილს, ველურ ღმერთსა...

ალ. რიონისპირელი.

ტონიძეს უთქვამს მეტი ფული არა მაქვსო, მაშინ თავდამცემებს მეტონიძისათვის რევოლვერი დაუხლიათ და სისიკვდილოდ დაუქრიათ. ამ შემზარავ სურათის ხანაველს, იქვე მდგომს ახალგაზრდა ქნს, ამოუცვია თავისი ქმრისათვის ხანჯალი და ერთი თავდამცემთაგანი სისიკვდილოდ დაუქრია. ეს დაქრილი ორ მის ამხანაგს იქვე ტყეში წაუყვანია, ხოლო საცოდავი მეტონიძე სამი საათის შემდეგ გარდაცლილია, და ნაცვლად იმისა, რომ სამი წლის უნახავ სამშობლოში და მოყვრებში გაეტარებინა ბედნიერი დღეები. შავი სამარე არგუწეს ბოროტი-განზრახველებმა. მისმა სამი წლის ჯგირაწერილმა ცოლმა შობა დღეს მიიტანა მკვდარი ქმარი სრულებით უნახავ ქმრის მშობლებთან. ასეთმა გულშემაზრავი ამბავმა მოელი ეს მხარე შეაძრწუნა, ადგილობრივი პოლიცია შეუდგა ბოროტ-განზრახველების კვლის აღმოჩენას. ჩბრეკა-ძიების დროს იპოვეს დაქრილი თავდამცემი, ხეზე ჩამოკიდებული, რომელიც ამხანაგებს დაეკლათ, როგორცა სჩანს იმ განზრახვით, რომ შეეცდნენ არ შეეკამათ.

მაგრამ ახლა ჩვენ ვკითხოთ სახელოვან მამაცებს, ნუ თუ კიდევ მოიპოვებინ საღმე ამავ უარესი მხეცები?!

ებრეალიძე.

ჩვენი ცხოვრების სურათები.

ერთი კაცის ნამამზობიდან.

ერთმა ნაცნობმა მოხოვა: „მიქეილი სიკეთე, გამგზავნე ქუთაისს-თბილისში, შენ მოხერხებული კაცი ხარ, იმედი მაქვს ჩემზედ უკეთესად გამოირჩე ჩემს საქმეს, შენი გასამარჯელო მომავლისთვის იყოს, ხოლო შენ დღეს აიღე ოცდა ათი მანეთი სახარჯოთ, მეორე ოცდა ათ მანეთს და ამაში გადმოგცემე“.

მე ვიცოტავე ასე მცირე ფული სა-მგზავრად და ვუთხარი: „გვ როგორ იქნება, ქუთაისს-თბილისი კაცმა მოიაროს, საქმე გავიკეთოს, საზოგადოებაში და კრძოა კაცებთან, ამისათვის მხოლოდ სამოცი მანეთი გაიღოთ, სად გავინდა“.

მისაქუხა: „რა გქნა, ძმაო, მეტი რომ გქონდეს, შენ კი არა, ვეჭილს გავგზავნიდი, გინდა თუ არა, ეგ შენ იცი, მე კი მეტის მოცემა არ შემიძლია“.

მაგრამ მე ვინ მომცემდა. დაბადების დღეს ვიწყვედი, ვგზობდი მშობლებს რატომ არ მასწავლეს რომ დიპლომი მეგლა ხელში. ამა სახუმარო ხომ არ არის, ორას თუმანს ვიკარავი ჩემს სალოაროში. რაღა ბევრი გავაგრძელო, შევანერე ჩემი ნაცნობი და ვუთხარი: „კარგი მე წავალ, მაგრამ შენ იცი და შენმა ნამუსმა, ჩემ ჯაფას როგორ დადავსებ. თუ ვინიკობაა უფულობის გამო ჩვენი ქუთაისს ან თბილისში, მომამველი ფული-თქო“. ოცდა ათი მანეთი დავთვალო და ჩავიდე ჯიბეში, ბარათი გამოვართვი მის მოყვარესთან, რომელსაც უნდა მოეცა ჩემთვის დაბრებული მეორე ოცდა ათი მანეთი, ჩამოვართვი ხელი. დეფარწმუნე, თუ რამე საშუალებით საქმე გაკეთდება, გავკეთებ-მეთქი. მაშე მოხოვა: „რაღა შეიძლება ყოველივე ღონე იხმარე, საქმის მოსაგებად, რაღა თქმა უნდა, თუ კი საქმეს მომიგება, კიდევ ფეშქეში სხვა იქნება ჩემგანა“.

— თუ ვისმეს შეუძლია მოგება, მეც მოვიგებ, დამწერდი, გქონდეს სრული იმედი; მართალია ადვოკატი არა ვარ, მაგრამ მეონია საქმეს საკმარისად გავცნობი-მეთქი.

ასე ამ ხვეწნა-მუღარაში მიმაცილა ნათესადგურამდე. რადგან ღამის თორმეტ საათზე მოველოდი ჩემს წამყვან გემს, ამიტომ ვუჩრჩე ჩემს ნაცნობს: წასულიყო შინისკენ.

გამომეშვიდობა, ერთი უკანასკნელად შემომხეწე, გამახსენა საქმე და წავიდა.

მართლდ დარჩენილს მომწყინდა, თან სიცივეში შემაწუხა, შემოდგომის ღამე იყო.

ამობდნენ იქნება ხელმედიანაც და-ავიანდეს გემსო. რაღა უნდა მექნა, იქვე ნათესადგურის გვერდით შევეუხევი ყავახანაში, ჯერ დავჯექი ჩემთვის. მოვითხოვე დიონის წყალი და დაუწყე დნეჯად სმა.

ფიქრებმა თან და თან გამიტაცა: საქმის საწარმოებლად მივიღიდი ქუთაისს-თბილისისაკენ... თუ ღერძობა გქნა და საქმე მოვიგე, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვეს ვინ გინდა, რომ მე ნდობით არ მომეკიდოს? აი თუ გამივარდება ხმა, ქუთაისს-თბილისის სასამართლოებში რომ ვაწარმოვე საქმე... დიადლე მმართველს სიონჯე... ისე უნდა დავაკვირე ყველაფერს ნახულის ქუთაისს-თბილისში, რომ აქაურები გავაკვირო ნახაის და გაგონილის გარდამოცემით. უბირელებს ყოველისა სასამართლოების განწყობილებანი უნდა დავინახო: სამოქალაქო, სისხლის-სამართლისა, გამოჯენისა და სხვ. თან თავგადასარისა და ყველა წვერების სახელი და გვარები, ნაიცი ვეძიებდნენ ხომ აუცილებლობა...

ჩემს ფიქრებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასასრული, რომ ჩემს გვერდით გაშალეს მაგიდა, მოუსხდნენ ყმაველი,

ღმერი, გახსნეს ხანკა, გაჩხრილეს ფულები და შეუდგნენ თამაშს. მე შორი-ახლო შევეუბრე მათ. რადგან ვიცოდი ჩემი მოუთმენელი ხასიათის ამბავი, ჩემი გული რომ ვერ გაუძლებდა მათს ცქერას: აღრე თუ გვიან მაინც გავფრეოდი მათში. ამიტომ ვამჯობნე ამ თავითვე დამეწყია თამაში.

— ამა, ყმაწვილებო! დამითმეთ ადგილი, უნდა ვითამაშო-მეთქი“.

იამათ, რომ ერთი პარტნიორი შეიძინეს. დიდის სიამოვნებით დამითმეს ადგილი. მოგვცა ღვთის წყალობა, შევედმე თამაშს. ისე ავისრულდით საწადელი ყოველი კარგის მხრივ, როგორც მე ამისრულდა. ისე მომამწვა ის ოხერი ქალადი, რომ ორივე ჯიბეში გავივსე ფულით.

ავდექი, მოგებულმა ჯიბეებში ჩავიწყე ხელები, მოვებოდიშე წაგებულებს და წავედი ჩემთვის. ახლა კი იმდენი მეწყო ჯიბეებში, მგონი, პეტერბურგსაც შემეძლო არხინად წასვლა.

მივაშურე ნათესადგურს, ვეფიქრობდი: „ლმერთო! შენი ქირივე ასე კმაყოფილი დამაბრუნე. რაღა თქმა უნდა, კარგს ფეხზე ვარ გამოსული, ჯერ სოხუში ორას მანეთამდე მოვიგე“.

ჩემდა სამწუხაროდ გვირ კიდევ არ სჩანდა. საშინელი ქა-ბ. ქიანი ღამე იყო. ვერ გაუძელი გარედ ყოფნას. ღმერთო! შეგცადე, გულიც კი მეპატეებოდა ისევ ყავახანისაკენ, დავიმოხრე გულისთქმას: თავი ისევ შევცავი. როგორც დამინახეს, ერთხმად მომამახეს: მოდი კაცო! განაგრძე თამაში, იქნებ კიდევ მოგიგო! მეორემ დაუმატა: მეღა სად წაიღეს ტყავს: სულ ერთია ბიძო, მოდი აქ წაიგე ისევ ჩვენთან, ვიდრე სხვაგანა“.

მე ვიუკადრისე ამგვარი ოხუნჯობა წამოვდექი გულ მოსული და შევადრე: „ძალით ხომ არ წამართვეთა თქვენთვის; თამაშში მოვიგეთ პირობა ხომ არ ჩამოვართვეთა სულ თქვენთან ვითამაშო. მაგრამ მე მაინც ვითამაშებ!“.

დავიწყე თამაში. გზდავდი ყველა მე მეთამაშებოდა.

მეორე დღის, გემიც მოაღდა ნაპირს. ყველა მგზავრმა გასწია საბილეთოსკენ; მე კი ვეხვეწებოდი პარტნიორებს: „მიშველეთ, კაცო! აქედან ფოთამდე ბილეთის ფული მაინც მომიკით მანეთი და ექვსი შაური-მეთქი“.

მაგრამ თანაგრძნობის მაგიერ სიცილს მაყრიდნენ. გზდავდი ამათთან ვერას გავხდებოდი. წასუსვლობა კი ჩემი შეუძლებელი იყო. როგორც იქნა, მოვმოვრდი ყავახანას, საჩქაროდ მივაშურე ნაცნობ ვაჭრებს.

— „აა მიშველეთ! — ვეხვეწებოდი ყველას. მაგრამ მიპასუხებდნენ: „ჯერ დიდის სიფთა არ ავეცილო, თორემ ამა რა სალაპარაკოა ასე მცირე ფულით“.

ვიცოდი ასეთს პასუხს მივიღებდი მათგან საღამოსაც, ამიტომ ვამჯობნე, რაც იქნება, იქნება, ჩემი ოცდა მე უნდა მოვინანიო — მეთქი, ავიღე ჩემი კავაკის ნაბადი ოცდა რვა მანეთად ღირებული, დავაწინდრე სამ მანეთად და გავეშურე გემისკენ ბილეთის ასადებად. ვიწყვედი დამაბადის დღეს, ვგზობდი ჩემ თავს: რა ჩემი საქმე იყო ადვოკატობა? მაგრამ რა დროს სინანული იყო. როგორღე უნდა წაესვდივით, თორემ ცოცხალი არ გადურჩებოდი ჩემს ნაცნობს.

— ჰე! რაც უნდა მომივიდეს თუნდაც რომ გზაში გავიკვდე და მოვეკვდე, ახია ჩემზე, ეს ქუთის სასწავლელო, თუ ცოცხალი გადავრჩი ამ მგზავრობაში — ვფიქრობდი.

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, ავედი ქუთაისში. ის ფული კი ოცდა ათი მანეთი — დამირბისამერ მივიღე გზაში. მისვლისთანავე შევედექი ჩემს საქმეებს.

ჩემდა სისხარულიად, ვისთანაც საქმე მქონდა, კმაყოფილი დავჩიი ყველას. რომ მოგონი საქმეებს, სიხარულის გამო არ მოვივრდი ძველ ნაცნობებს. ყველას ნახვა მიწიდა. ფულიც ბარემ ოცდა რვა მანეთი მეღვაჯიბეში. ვფიქრობდი: ერთს ვისმეს წავიყვანე სადღალად და გავვართბი საღამოს მატარებლის წასვლამდე-მეთქი. შევედექი ძებნას.

ბაღის თავიდან დაწყებულ ბოლო-მდე სერიოზულად ახალგაზრდობი. მათში ბევრი ერთი ჩემი ნაცნობები, მაგრამ, რაკი მათს მოწყვეას ყველას ერთად ვერ შევიძლებდი და ცალკე კი ვერ ვახერხებდი ერთის გამოპატეებას, ამიტომ საღამოსთანავე ვშორდებოდი.

